კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

მშვიდობისმყოფელობა
და
ქალები

**კრებული მომზადდა პროექტის „ქალები და
გოგონები მოქმედებენ მშვიდობისა
და სოციალური სამართლიანობისათვის“
ფარგლებში
შვედეთის ქალთა ფონდის
Kvinna till Kvinna-ს მხარდაჭერით**

ქუთაისი
2013

წინასიტყვაობა

როდესაც ფონდმა „სოხუმმა“ ქართველ და აფხაზ ქალთა ერთობლივი სამშვიდობო პროექტის ფარგლებში მშვიდობისმყოფელ ქალთა ისტორიებზე დაიწყო მუშაობა, ბოლომდე არ გვქონდა გაცნობიერებული, როგორ მოხდებოდა მისი ფორმირება. ერთი რამ ნამდვილად ვიცოდით: ეს არ იქნებოდა მშრალი და უსულო ისტორიები ქალთა ორგანიზაციებისა და მშვიდობისათვის მებრძოლ ქალთა ღვაწლის შესახებ. მისი მთავარი დანიშნულება არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება იქნებოდა, არამედ ქალთა ახალი ჯგუფების მოტივაცია მშვიდობისმყოფელთა რიგების გასაზრდელად.

როგორც აღმოჩნდა, ძალიან ბევრია დაპირისპირების, სისხლისა და ნგრევის მაგალითი, გახლეჩილი საზოგადოებები, დევნილებად ქცეული მილიონობით ოჯახი, მაგრამ საკმაოდ რთულია, იპოვო ქალთა ცოცხალი ისტორიები ჟამთააღმწერლების, უფლებათადამცველების, საერთაშორისო ინსტიტუტების მშრალ ანგარიშებს მიღმა, აღმოაჩინო სატკივარი კონკრეტული ადამიანების, მათ შორის ქალებისა, ვისაც ყველაზე დაუნდობლად შეეხო ომის სისასტიკე.

ბევრი მათგანი საკუთარმა დრამამ აქცია მშვიდობისათვის თავგანწირულ მებრძოლად, რათა სხვისთვის აერიდებინა იგივე ხვედრი. ზოგს, ერთი შეხედვით, გვერდით ჩაუარა მსოფლიო კატაკლიზმებმა, მაგრამ სული გაუბზარა ათასობით ადამიანთა ტკივილმა და გმინვამ, მათ გვერდით დააყენა, ვინც ყველაზე დაუცველი იყო და შველას საჭიროებდა.

და თანდათან დაიწყო ისტორიების შეკონწიწება...

პირველი - მალალა იუსუფზაი იყო: პაკისტანელი გოგონა, რომელიც თავისუფლების წყურვილის გამო თალიბებმა სასიკვდილოდ გაიმეტეს.

შემდეგ - ბირმელი შარმ ტონგი, 16 წლის გოგონა, რომლის შეფასებას გაეროს მაღალი ტრიბუნიდან უსმენდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი...

დედა ჰავა გალკაიოდან - დევნილი ქალების გულმხურვალე ქომაგი...

ვისაკა დარმადასა, რომლის ტრაგიკული ისტორია ბევრ შვილდაკარგულ დედას ეცნობა ალბათ...

...სხვა სახელები, რომელთაც ერთ-ერთი ჩვენს მიერ მოძიებული წყაროს ავტორმა უწოდა „უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მებრძოლი ქალები“...

ამ კრებულში მხოლოდ რვა ისტორია მოხვდა. რვა განსხვავებული პრობლემა, რომელთაც სხვადასხვა ასაკის, სოციალური სტატუსის, განსხვავებული კანის ფერის ქალები შეეჭიდნენ. ბევრი მათგანის ისტორია საქვეყნოდ არის ცნობილი, ბევრი - საერთაშორისო ორგანიზაციების ხმაურიანი ანგარიშების ჩრდილში აღმოვაჩინეთ. ანგარიშებისა, რომელთაც, როგორც აღმოჩნდა, ხშირად არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ. ისინი ყოველთვის ვერ უმსუბუქებენ მდგომარეობას ქალებს, რომელთაც არა მარტო ომის დროს, არამედ ომის შემდეგაც გაუსაძლის პირობებში უხდებათ ცხოვრება.

სწორედ ამის შესახებ ამბობს გულისტკივილით ერთ-ერთი ისტორიის გმირი:

„ჩვენ, მიუხედავად ყველაფრისა, ვაგრძელებთ ბრძოლას იმ ქალების დასაცავად, ვინც დაზარალდა ომის დროს და ვისი ტანჯვა გრძელდება ომის დასრულების შემდეგ. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ მსოფლიოში ვინმემ თქვას, რომ მათ არ იციან, რა ხდება ჩვენთან“.

ჩვენს ბენეფიციარებს, დევნილ ქალთა ჯგუფებს, მუშაობის პროცესში საშუალება ჰქონდათ, მოძიებულ ისტორიებს გაცნობოდნენ. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, როგორ აღიქმებოდა ყოველი მათგანი, გამოგვადგებოდა თუ არა, როგორც მაგალითი მშვიდობისმყოფელ ქალთა რიგების გასაზრდელად.

ერთ-ერთ შეხვედრაზე, დამსწრეთაგან ყველაზე მხცოვანმა მანდილოსანმა ყველას სათქმელი გააჟღერა: „დღეს დავრწმუნდი, რომ ქალებს, სადაც არ უნდა ვიყოთ, სამყაროს რომელ კუთხეში, ერთი და იგივე პრობლემები გვაერთიანებს. მე ბევრჯერ დავინახე ჩემი თავი ამ ისტორიებში, ჩემი სატკივარი, ჩემი ოცნებები. სიმართლე გითხრათ, შიგადაშიგ შემშურდა კიდეც იმ ქალებისა, რომელთაც ასეთი შეუდრეკელი სული აქვთ, ასეთი პირნათელები არიან საკუთარი ხალხის წინაშე“.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს განწყობა ექნებათ მათაც, ვის ხელშიც კრებული აღმოჩნდება. ეს ჯერ მხოლოდ პირველი კრებულია - ქალთა მშვიდობისმყოფელობის ამბავი კიდევ ახალი სახელებითა და გამოცდილებით გამდიდრდება...

მშვიდობისმყოფელობა და ქალები

არავინ უარყოფს იმას, რომ ქალები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მშვიდობისმყოფელობაში. როგორც აქტივისტები და მშვიდობის გამტარებლები, ქალები „ებრძვიან კონფლიქტს ძალადობის გარეშე“, ნერგავენ დემოკრატიას და ადამიანთა უფლებებს. როგორც მშვიდობისმყოფელებს, ქალებს თავიანთი წვლილი შეაქვთ „ძალადობის შემცირებაში“. როგორც შუამავლები, მრჩევლები ფსიქოლოგიური ტრავმების რეაბილიტაციაში და სტრატეგიის შემმუშავებლები, ქალები მუშაობენ „ურთიერთობების ტრანსფორმირებაზე“ და ხელს უწყობენ ძალადობის სიღრმისეული მიზეზების გამოვლენას. როგორც აღმზრდელები და განვითარების პროცესის მონაწილეები, ქალები ხელს უწყობენ „პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენას“ თავიანთ თემში და ქვეყანაში შეიარაღებული კონფლიქტის აღმოსაფხვრელად. სოციალიზაციის პროცესი და განსაკუთრებული ურთიერთობების ისტორიული გამოცდილება ემატება იმ უნიკალურ ინსტინქტებს და ღირებულებებს, რომლებიც მოაქვს ქალს სამშვიდობო პროცესში.

ძალიან ხშირად ქალს აღიქვამენ მსხვერპლად, რაც აკნინებს მის როლს გარდაქმნასა და მშვიდობის მშენებლობაში. მიუხედავად ამისა, თუ გადავდებთ „მსხვერპლის“ პარადიგმას და ყურადღებას გავამახვილებთ უახლოეს კონფლიქტებზე, ნათლად დავინახავთ, რომ ქალები თამაშობენ უამრავ როლს. ისინი არიან: მშვიდობისმყოფელები კონფლიქტის დროს, დიალოგის წარმმართველები დაპირისპირებულ მხარეებს შორის, თავიანთი ოჯახების მარჩენალები შეიარაღებული კონფლიქტების დროს, კულტურული ღირებულებებისა და საზოგადოებრივი ნორმების დამცველები.

უნდა გადაიხედოს ტენდენცია, რომლის კლასიფიკაციითაც ქალი პასიური მსხვერპლია. ზუსტად ასეთ დამკვიდრებულ ხედვას მივყავართ იმისკენ, რომ ქალი იზოლირებულია სამშვიდობო პროცესისგან, განსაკუთრებით - ოფიციალური მოლაპარაკებებისგან.

პოზიტიური გამოცდილება: სანამ გაკეთდება თვალსაჩინო დასკვნები ქალის როლზე მშვიდობის შენების პროცესში, საჭიროა უფრო ღრმა კვლევა. მიუხედავად ამისა, საზოგადოებაში ქალთა მშვიდობისმყოფელობის თემაზე გამართული აქტიური დისკუსიის შედეგად სპეციალისტებს მოჰყავთ რამდენიმე აღიარებული დასკვნა და პოზიტიური მაგალითი:

- ქალები და მამაკაცები ძალადობას სხვადასხვანაირად განიცდიან. კონფლიქტის შედეგები, ძირითადად, მოქმედებს ქალებზე და ბავშვებზე და თუ ქალებს ასე ძვირი უჯდებათ მშვიდობის არარსებობა, მაშინ ისინი წარმოადგენენ ძირითად მოქმედ ძალას მშვიდობისმყოფელობაში.

ქალების მონაწილეობა მნიშვნელოვანია ხანგრძლივი, მყარი მშვიდობის დამყარებაში. ქალთა სამშვიდობო ინიციატივები მრავალმხრივია და მათ შეუძლიათ რელიგიური, ეროვნული, სოციალური და ეკონომიკური საზღვრების გადალახვა. ამ ინიციატივებს ცვლილებები მოაქვს მოლაპარაკებებში შეთანხმების გზით, რაც დაფუძნებულია საზოგადოებრივ აზრზე და ბევრად უფრო ეფექტურია.

ქალთა მიმართ ძალადობა საზოგადოების შეშფოთების მთავარ ასპექტს წარმოადგენს, შესაბამისად - ყველა პროგრამა უნდა ამოქმედდეს მშვიდობის დასამკვიდრებლად.

სტრუქტურული და კულტურული ძალადობა ქალთა მიმართ, რაც გამოიხატება არათანაბარი შესაძლებლობებით განათლების მიღებაში, დასაქმებაში, ლიდერობაში, წარმოადგენს წინააღმდეგობას მშვიდობის დამყარებისთვის.

როდესაც ჯგუფები ცდილობენ, თავიანთ პროგრამებში ჩართონ გენდერული ანალიზი, ამისთვის იწვევენ გენდერულ მრჩეველებს. ისინი ხშირად გაუაზრებლად განაცალკევებენ გენდერის საკითხს და არ ახდენენ მის ინტეგრაციას საერთო პროგრამებში. გენდერული ტრენინგები იძლევა საშუალებას, ყველა იყოს ჩართული კომპლექსური მიდგომების ძიებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობისათვის. გაეროს პროგრამებში გენდერული დანაყოფების შექმნა იყო ერთ-ერთი პირველი კომპლექსური მცდელობა ქალთა და მამაკაცთა თანასწორობისათვის. გენდერის საკითხში კვალიფიცირებული მრჩევლების არსებობა ყველა მშვიდობისმყოფელი ორგანიზაციისა და მისი პერსონალისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, ეს დაეხმარება პასუხისმგებლობის განაწილებას ყველა პროგრამაში. სავსებით ნათელია, რომ გენდერული გაცნობიერებისკენ მიმართულ ტრენინგებს მივყავართ ცვლილებებისაკენ. მაგალითად, კამბოჯაში პოლიციელებთან ჩატარებული ტრენინგის შედეგად გაჩნდა ახალი ინიციატივები ოჯახში ძალადობის საკითხებთან და ტრეფიკინგთან მიმართებაში.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ქალთა და მამაკაცთა ქსელი, რომლებიც მხარს უჭერენ ქალთა ჩართვას მშვიდობისმყოფელობის პროცესში, ჯერ კიდევ არ არის გააზრებული ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის მნიშვნელობა და ხდება მშვიდობისმყოფელ ქალთა ძალისხმევის დაბლოკვა.

პრობლემები, რომელთა წინაშეც დგებიან ქალები მშვიდობის დამყარების დროს

მნიშვნელოვანი და უპრეცედენტოა ის გარემოება, რომ გაერო მტკიცედ უჭერს მხარს გენდერული ანალიზის ჩატარებას კონფლიქტურ რეგიონებში და გენდერის თემის გააქტიურებას თავის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში. მაგრამ რეზოლუცია 1325-ის შესრულება დიდ პრობლემებთანაა დაკავშირებული.

კონფლიქტური რეგიონების გენდერული ანალიზის განსხვავებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ სამშვიდობო პროცესში პირველ პლანზე ქალთა ხედვის დაფიქსირების მცდელობა გენდერული ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით არ გამოდგა წარმატებული. მაგალითად, რუანდაში გენოციდის დროს, 1994 წლის აპრილიდან 1995 წლის აპრილამდე, დაახლოებით 500 000 ქალი გახდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. საერთაშორისო კომიტეტის გამოძიებაზე დაყრდნობით, 1994 წელს რუანდაში, ფაქტობრივად, 12 წელს ზემოთ ყველა ქალი ძალადობის მსხვერპლი გახდა. ბოსნიის კონფლიქტის დროს „ეთნიკური წმენდისას“ 1992 წლიდან 1995 წლამდე 50 000 ქალსა და გოგონაზე განხორციელდა სექსუალური ძალადობა. ქაშმირის კონფლიქტის დროს ინდოეთში 7000-დან 16 000-მდე ქალი გახდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი სეპარატისტებისა და შეიარაღებული ფორმირებების მხრიდან.

რუანდისა და ყოფილი იუგოსლავიის კონფლიქტები ნათელი მაგალითია იმისა, რომ მილიტარიზმი დაუცველს ხდის ქალთა ფიზიკურ, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას. ქალები საბრძოლო მოქმედებების ზონაში ძალადობას განიცდიან არა მარტო მოწინააღმდეგეების, არამედ თავიანთი მებრძოლების მხრიდანაც. ამის ნათელი მაგალითია გაეროს საბრძოლო ძალების მიერ დაშვებული დარღვევები ბოსნიაში, ჰაიტიში, კოსოვოსა და სომალიში, როცა ქალებზე თავიანთი „დამცველები“ ძალადობდნენ.

ქალთა მცდელობა, წარმოადგინონ თავიანთი ინტერესი ოფიციალურ სამშვიდობო მოლაპარაკებებზე, სერიოზულ წინააღმდეგობებს ეჯახება. იმის შემდეგაც კი, რაც 1325 პირდაპირ აძლევს ქალს მსგავს პროცესში მონაწილეობის საშუალებას. მაგალითად, არუშეს სამშვიდობო მოლაპარაკებაში, რომელიც ეხებოდა ბურუნდიში სამოქალაქო ომის შეწყვეტას, 126 დელეგატიდან მხოლოდ 2 იყო ქალი, მიუხედავად იმისა, რომ ომის სამშვიდობო გზით მოგვარების ინიციატივა ქალებს ეკუთვნოდა. ასევე 2 ქალი ესწრებოდა (15 მონაწილიდან) ტიმორის მოწინააღმდეგეთა ეროვნულ საბჭოს აღმოსავლეთ ტიმორში, თუმცა აქაც ქალებმა ითამაშეს დიდი როლი ამ მოძრაობის ჩამოყალიბებაში. მხოლოდ 5 ქალი იყო მმართველ პოზიციებზე გაეროს მისიის დროს კოსოვოში, თუმცა ქალების დამსახურებით იქნა დაძლეული ეთნიკური ბარიერები და აღდგა გაწყვეტილი ურთიერთობები. არცერთი ბოსნიელი ქალბატონი არ ესწრებოდა სამშვიდობო მოლაპარაკებას ომის შეწყვეტის თაობაზე 1995 წელს დაიტონში, ყოფილ იუგოსლავიაში, თუმცა ეს კონფლიქტი კატასტროფულად აისახა ქალებზე. ბოლო წლების განმავლობაში ქალთა მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტმა მიიღო მონაწილეობა სამშვიდობო მოლაპარაკებებში ლიბერიაში, სომალიში, სუდანში, ავღანეთსა და ერაყში.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი 4-დან სამი დაღუპული ქალია და დევნილთა 80% გოგონები და ქალები არიან, ხდება ქალთა იგნორირება და ეს არის მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, რომ სამშვიდობო ოპერაციები კრახით მთავრდება.

მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ საჭიროა უფრო ძლიერი ძვრები ქალთა როლის გააზრებისთვის კონფლიქტის მოგვარებაში. ჩვენ ეჭვქვეშ უნდა დავაყენოთ ტრადიციული წარმოდგენები იმაზე, რომ სიძლიერე, ძალაუფლება, აგრესია (ზოგჯერ ძალადობაც) ბუნებრივი მოვლენებია.

შეიარაღებული კონფლიქტის დროს არსებული ქალთა პრობლემები არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ციფრებისა და ფაქტების ჩამოთვლით. ანდა, როგორც ამბობენ ხოლმე, „დავამატოთ ქალი და ავურიოთ“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამშვიდობო ორგანიზაციებში მმართველ პოზიციებზე ქალთა ჩართვა მნიშვნელოვან ამოცანად რჩება. ეს მხოლოდ დასაწყისია. პრობლემას წარმოადგენს დისკურსი მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც მამაკაცების, ისე ქალების ხედვა, სადაც დაფასებული უნდა იყოს თანაარსებობა, არაძალადობა და ჩართულობა.

უსაფრთხოების არსი მუდმივად ტრანსფორმირდება და იღებს უფრო ფართო მნიშვნელობას, ვიდრე ადრე ჰქონდა. უსაფრთხოების კრიტერიუმს, როგორც გაირკვა, წარმოადგენს არა რაკეტების, ტანკებისა და ვეტრმფრენების რაოდენობა, ანდა არმიის რიცხობრიობა ამა თუ იმ ქვეყანაში. მოქალაქეებისათვის უფრო მნიშვნელოვანია ხარისხიანი სამედიცინო დახმარებისა და შვილების კარგი განათლების ხელმისაწვდომობა. ამას განსაკუთრებული სიმძაფრით აცნობიერებენ ქალები. დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ქალები, როგორც წესი, უსაფრთხოების პრობლემას აღიქვამენ არა საომარ, არამედ ჰუმანიტარულ „ადამიანურ“ კონტექსტში, როგორც ადამიანის ძირითადი საჭიროებების მოგვარებას. ეს უკვე დიდი ხანია აღიქმება, როგორც „ადამიანური უსაფრთხოება“.

ჰანან აბუნასერი: „მენ ჩემი მეზობელი ხარ, ჩვენ ერთსა და იმავე მიწას ვიყოფთ“

ღაზელი ჰანან აბუნასერი პალესტინის თავისუფლებისთვის იბრძვის. ქალების თავისუფლებისთვისაც. ის არ ერიდება საკუთარი აზრის გამოთქმას, კრიტიკას ოკუპაციასთან, ჰამასთან, სექსუალურ ძალადობასა თუ ქალის უფლებებთან დაკავშირებით - ჩაიცვას სურვილისამებრ.

„მე ბევრი მეგობარი მყავს, რომლებიც „ხიჯაბს“ და „ნიქაბს“ ატარებენ და ამით კმაყოფილნი არიან. როცა ქალების თავისუფლებაზე ვსაუბრობთ, ჩვენ მხედველობაში არჩევანის თავისუფლება უნდა ვიქონიოთ - ვატაროთ თუ არა „ხიჯაბი“. ისინი, ვინც მის გარეშე დადიან, შეიძლება შეავიწროონ, “- ამბობს ჰანანი.

ჰანანი ღაზას სექტორში, ჯაბალიას დევნილთა ბანაკში ცხოვრობს და სკოლაში მასწავლებლად მუშაობს. ის აქტიურადაა ჩართული უნივერსიტეტის ფემინისტურ ქსელში. ივნისში შვედეთში იმყოფებოდა - მონაწილეობდა სემინარსა და კონფერენციაში, სადაც განიხილებოდა ოჯახის როლი მუსულმანი ქალების უფლება-შესაძლებლობების გაფართოების საქმეში.

მას ისლამთან დაპირისპირებაში ადანაშაულებენ

- კონფერენციაზე გამართული დისკუსია სემინარის დისკუსიისგან განსხვავდებოდა, - ამბობს ჰანანი. - ძნელი იყო მათი დარწმუნება, რომ მე ჰამასის წინააღმდეგ გამოვდივარ ისლამური მხრიდან და რომ ეს ისლამზე შეტევას არ ნიშნავს.

სხვა აქტუალური პრობლემა იყო სიტყვა „ფემინიზმი“

„რელიგიური მოსაზრებით, მუსულმანმა ქალებმა უნდა გამოიყენონ ისეთი სიტყვები, როგორიცაა „ქალთა შესაძლებლობების გაფართოება“ და არა „ფემინიზმი“. მაგრამ მე ფემინისტური მოძრაობით ვარ დაინტერესებული. ბევრი საინტერესო სტატია წამიკითხავს ირანისა და საუდის არაბეთის ისლამურ ფემინიზმზე. თუ გავითვალისწინებთ ჩემს მცდელობებს ღაზაში, ვფიქრობ, ეს ძალიან კონსერვატული საზოგადოებაა. მე შორს ვარ ისლამის ან იმათი მოსაზრებიდან, ვინც ცდილობს „მამაკაცური“ კულტურის შენახვას. მხედველობაში მაქვს ის, რომ მამაკაცებს შეუძლიათ ქალებზე იბატონონ და თქვენ ეს უნდა მიიღოთ, როგორც ჩვეულებრივი რამ. მე ჯერ კიდევ მწამს ღმერთის და ისლამის, მაგრამ პატრიარქალურ საზოგადოებაში ვცხოვრობ და არ მჯერა, რომ ეს არის ისლამი“.

სჯერა განსხვავებულობის

მისი მოსაზრებები ხშირად წინააღმდეგობებს აწყდებოდა. სურდა, რომ მას და მის კოლეგებს სტუდენტებისთვის მიეწოდებინათ სხვადასხვა შეხედულება იმაზე, თუ როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს და ფიქრობდეს მასწავლებელი, მაგრამ ეს მიუღებელია: „მწამს ადამიანთა შორის განსხვავებულობის. მაგრამ ჩვენ ვქმნით თაობას, რომელიც ერთნაირად ფიქრობს, იქცევა და გამოიყურება“ .

სამუშაოს მიღმა ჰანანს ბევრი მეგობარი მამაკაცი ჰყავს, მაგრამ მათთან შეხვედრებმა შეიძლება პრობლემები შეუქმნას: „ღაზაში ნამდვილად ძნელია კაფეში მამაკაც მეგობრებთან ერთად ჯდომა. თქვენ შეიძლება პოლიციელებმა თუ მთავრობის წარმომადგენლებმა დაგკითხონ“.

შიდასაზოგადოებრივი პრობლემები ერთადერთი როდია, რაც მის ცხოვრებაზე გავლენას ახდენს. ჰანანისა და ღაზას სხვა მცხოვრებთა არსებობა ისრაელის ოკუპაციითა და ღაზას სექტორის ბლოკადითაა დათრგუნული.

„ღაზა პატარაა. ჩვენ ექვს წელზე მეტ ხანს ვცხოვრობდით ბლოკადის პირობებში. ოკუპაციამ და ბლოკადამ შექმნა რიგი სოციალური და პოლიტიკური პრობლემები. მოსახლეობა იზრდება, ცხოვრების პირობები - არა. უმუშევრობა და სიღარიბე მატულობს. ეს აუტანელი ადგილია საცხოვრებლად, როგორც კაცისთვის, ასევე - ქალისთვის. ოჯახში ძალადობა იზრდება. მეც განვიცდი ძალადობას“, - ამბობს ჰანან აბუნასერი.

სექსუალური ძალადობა - საერთო პრობლემა

ჰანანი აღწერს, როგორ დევნიან კაცები ქალებსა და გოგონებს ჯაბალიის ბანაკის ვიწრო ქუჩებში. მასაც შეემთხვა მსგავსი რამ, როცა დილადრიან სამუშაოზე მიდიოდა. „მე შემიძლია საკუთარი თავის დაცვა და რეაგირებაც სწრაფად მოვახდინე, მაგრამ ვფიქრობ გოგონებზე, რომლებიც ყოველ დილით გადიან ამ გზას სკოლისკენ. დარწმუნებული ვარ, ბევრია სექსუალური ძალადობის მსხვერპლი“.

ჰანანის გამოცდილებით, ქალთა დიდი რაოდენობა განიცდის ძალადობას ოჯახში, მაგრამ უმრავლესობა დუმს.

„მეც მსხვერპლი ვარ, მაგრამ გადავწყვიტე, არ გავჩუმდე“, - ამბობს ჰანანი.

ოჯახში ძალადობაზე ხმამაღლა საუბარს თავისი საზღაური აქვს: ძალადობაზე გამოკითხვა, ვიღაცის დაცვის მცდელობა ან მიმართვა პოლიციაში, თუკი ამის შესახებ მოძალადე შეიტყობს, სიტუაციას უფრო ამძიმებს.

აკადემიური ბოიკოტი

ჰანანი ისრაელის მიერ ღაზას სექტორზე თავდასხმის შემდეგ (2008-2009 წ.წ.) აქტიურად მონაწილეობს ქალთა დევნის წინააღმდეგ კამპანიაში. ოთხ სტუდენტთან ერთად მან დაიწყო პალესტინის სტუდენტთა კამპანია - ისრაელის აკადემიური ბოიკოტისთვის. ჰანანისა და სხვა აქტივისტებისთვის ღაზას სექტორში კამპანიის შესახებ ინფორმაციის გავრცელება წარმოადგენს უმთავრეს პრობლემათაგანს. პრობლემაა ისრაელის მსგავსი პროგრამის მქონე აქტივისტებთან თანამშრომლობის გზების ძიებაც.

„როცა პირველად შევხვდი ისრაელელ მეგობარ გოგონას, სიძულვილი ვიგრძენი. ეს ბუნებრივია, რადგან მე დათრგუნული ვიყავი. შემდეგ მივხვდი, რომ ის მემარცხენე ორგანიზაციაში მუშაობს და მილიტარიზმის წინააღმდეგ იბრძვის. მე მას ვუთხარი: „შენ ჩემი მეზობელი ხარ, ჩვენ ერთსა და იმავე მიწას ვიყოფთ. ისრაელის პარტიები, რომლებიც სახელმწიფო გადაწყვეტილებებზე მუშაობენ, ბოლო ხუთი წელია შესუსტდნენ და სამართლიანობისთვის ბრძოლაში ჩაბმა არ ძალუძთ“.

ჰანანს გაუხარდა, როცა გაიგო, რომ ისრაელის აქტივისტები ისრაელში მცხოვრებთ პალესტინელთა გულისტკივილს აცნობენ. მსგავსი რამ აუცილებელია პალესტინის საზოგადოებაშიც.

„ჩვენ უფრო გახსნილები უნდა ვიყოთ და ვიფიქროთ ებრაელების ტკივილზე ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მაგრამ ეს არ ამართლებს იმას, რაც დღეს ხდება. ებრაელებისა და პალესტინელებისთვის ჰუმანური გადაწყვეტილება იქნებოდა დემოკრატიული სახელმწიფო“.

«MADRES DE PLAZA DE MAYO»
მაისის მოედნის დედები

დიეგო მარადონამ ნორვეგიის მთავრობისადმი მიწერილ წერილში ითხოვა, ნობელის მშვიდობის პრემია მიენიჭებინათ არგენტინელი უფლებადამცველი ქალბატონებისთვის, რომლებიც ცნობილნი არიან სახელით „ბებიები მაისის მოედნიდან“.

„...ბოლო ორი წლის წინ დაკარგულთა თუ დაღუპულთა შვილები. ზოგიერთი მათგანი ტყვეობაში დაიბადა. სხვები მოწყვიტეს სახლს, რომელიც დაანგრიეს. ამ მომენტამდე ჩვენი ყველა ძალისხმევა ამაო იყო. ბავშვები თავიანთ სახლებს, თავიანთ ოჯახებს არ დაბრუნებიან. არ ვიცით, რა მოვიმოქმედოთ... ბოლო დროს ვიგებთ, რომ ზოგიერთმა ბებიამ და ბაბუამ შეძლო თავისი შვილიშვილის დაბრუნება არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოების მეშვეობით. ამიტომ თავს ნება მივეცით, გთხოვოთ, გაეცნოთ დაკარგული ბავშვების თანდართულ სიას იმ შემთხვევისთვის, თუ რაიმე ინფორმაცის ფლობთ რომელიმე მათგანზე“.

„მაისის მოედნის დედები“ არგენტინელი დედების ასოციაციის საზოგადოებრივი მოძრაობაა, დედებისა, რომელთა შვილებიც არგენტინაში 1976-1983 წლებში „ეროვნული რეორგანიზაციის პროცესად“ წოდებული სამხედრო დიქტატურის პერიოდში დაიკარგნენ. ეს სახელწოდება მოძრაობამ მიიღო ბუენოს-აირესის ცენტრალური მოედნის სახელისგან. სწორედ მაისის მოედანზე, მთავრობის სახლის მოპირდაპირედ, 1977 წლს 30 აპრილიდან, ყოველ ხუთშაბათს, თავმოყრა დაიწყეს უგზოუკვლოდ დაკარგული შვილების დედებმა.

თავად დედები და ბებიები საკუთარი ისტორიის მოყოლას არა ორგანიზაციის დაარსების თარიღით, არამედ მიზეზებით იწყებენ, ანუ სულ თავიდან... 1976 წლის 24 მარტის გადატრიალებით, როცა ხელისუფლება სამხედრო ხუნტის ხელში აღმოჩნდა და ქვეყანაში დამყარდა დიქტატურა - მრავალრიცხოვანი რეპრესიით. დაიწყო ტერორის ეპოქა, რომელსაც თავად წამომწყებნი „ეროვნული რეორგანიზაციის პროცესს“ უწოდებდნენ, ხალხში კი მას „ბინძურ ომად“ მოიხსენიებენ. ახალი დიქტატორული რეჟიმის მთავარ სიმბოლოდ იქცა არა ხმამაღალი პოლიტიკური ლოზუნგები, არამედ ხალხის „ჩუმი“ გაქრობა. ოცდაათ ათასამდე ადამიანი დააპატიმრეს, ან, უბრალოდ, გაიტაცეს, შემდეგ კი აწამეს და მოკლეს. ასობით ახალგაზრდა, ბავშვი და ფეხმძიმე ქალი მოწყვიტეს საკუთარ ოჯახს და მოათავსეს იატაკქვეშა ცენტრებსა და კამერებში მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, როგორც ამ გამქრალი ადამიანების, ისე მათი ადგილსამყოფელის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ფეხმძიმე ქალები იძულებულნი იყვნენ, ემშობიარათ კამერებში, საშინელ პირობებში, შემდეგ კი მათ შვილებს ართმევდნენ. ამ მოპარულ ბავშვებს, ან როგორც მათ ეძახდნენ - „ომის ძღვენს“, მიაწერდნენ სამხედრო ხუნტის წევრებს იმისთვის, რომ მიეტოვებინათ, ან გაეყიდათ, ან ჩაებარებინათ უსახელო დაწესებულებებში. ამგვარად, 500-მდე ბავშვმა დაკარგა კავშირი თავის ნამდვილ ოჯახთან, დაკარგა თავისუფლება და სამხედრო დიქტატურის ხელში ინსტრუმენტად იქცა.

დამყარებული რეჟიმი სასტიკად ახშობდა ნებისმიერ განსხვავებულ პოლიტიკურ აზრს და, რა თქმა უნდა, ხალხში ყოველგვარი პროტესტისადმი შიშს აღვივებდა.

და თითქოს მსოფლიოს ვერანაირი დემოკრატია, უდიდესი გავლენის მქონე კათოლიკური ეკლესიის ვერანაირი სიტყვა, ვერანაირი საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია ვერ შეძლებდა გავლენას სამხედრო დიქტატურის ხელისუფლებაზე. არგენტინის სასამართლოებისთვის მიმართვა ხომ საერთოდ შეუძლებელი იყო. სწორედ ამ პირობებში გადაწყვიტეს „გამქრალი“ ადამიანების დედებმა, მამებმა და ოჯახის წევრებმა დამოუკიდებლად ეძებნათ დაკანონებული ძალადობის საწინააღმდეგო საშუალებები.

პირველი, ვინც სხვებს შესთავაზა მაისის ცენტრალურ მოედანზე საპროტესტო გამოსვლა და

იქ დარჩენა მანამ, სანამ რაიმე ცნობას არ მიიღებდნენ გამქრალ ბავშვებზე, იყო არგენტინის საზოგადო მოღვაწე და აქტივისტი აზუსენა ვილიაფლორი.

ის, საუბედუროდ, 1977 წლის 10 დეკემბერს თავადაც გაქრა... ათი დღის შემდეგ მისი სხეული, ბევრ სხვასთან ერთად, ბუენოს-აირესის სანაპიროზე იპოვეს და დაკრძალეს როგორც უცნობი.

2005 წლის ივლისში, მორიგი უსახელო სამარხის გათხრისას, აღმოაჩინეს, სავარაუდოდ, 1977 წლის 8-10 დეკემბერს დაღუპული რვა ადამიანის ნეშტი, რომელთაგან ერთი აზუსენა ვილიაფლორს ეკუთვნოდა. მათი ნეშტი, კრემაციის შემდეგ, 2005 წლის 8 დეკემბერს ბუენოს-აირესის მთავარი მოედნის ობელისკის საძირკველში დამარხეს. სწორედ იმ ობელისკისა, რომელიც 1810 წლის რევოლუციის წლისთავის აღსანიშნავად იქნა აღმართული (რევოლუციამ საფუძველი ჩაუყარა არგენტინის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას და მიაღწია მას ექვსი წლის შემდეგ) და რომელთანაც აზუსენა პირველად გამოვიდა, რათა ებრძოლა უგზოუკვლოდ დაკარგული ბავშვებისთვის და ამით სხვა დედებიც შთააგონა.

და ასე, 1977 წლის 30 აპრილიდან, ყოველ ხუთშაბათს, სასოწარკვეთილი დედები მაისის მოედანზე, ობელისკის ირგვლივ, მთავრობის სახლის მოპირდაპირე მხარეს იკრიბებოდნენ. ასე გამოხატავდნენ პროტესტს თავიანთი შვილების დაკარგვის გამო. თავდაპირველად ისინი ერთმანეთს ცნობდნენ პატარა ლურსმნებით, რომლებიც თითოეულ მათგანს მოჰქონდა. მოგვიანებით გადაწყვიტეს, თავზე შემოეხვიათ თეთრი თავსაფრები, რომლებიც სინამდვილეში ბავშვის საფენები იყო. ისინი მალე ჩამოყალიბდნენ ორგანიზაციად და დაირქვეს „მაისის მოედნის დედები“ და მოედანზე დგომით იქცევდნენ საზოგადოების (არა მარტო თავიანთი თანამემამულეების, არამედ სხვა ქვეყნების წარმომადგენლების) ყურადღებას არგენტინაში ადამიანების გაქრობის პრობლემის მიმართ.

დაახლოებით იმ დროს თორმეტმა ქალბატონმა, რომელთა საშუალო ასაკი 50-60 წელი იყო, გადაწყვიტა, გამოეყენებინა „ხაბეას კორპუსის“ წესი და კოლექტიური წერილი მისწერა მორონის ოლქის სასამართლოს, რომელიც ცნობილი იყო როგორც ბუენოს-აირესის პროვინციის მნიშვნელოვანი საბანკო, საფინანსო და პოლიტიკური ცენტრი. ამ წერილში ისინი გამქრალ ბავშვებზე მოუთხრობდნენ და მათ ძებნაში დახმარებას ითხოვდნენ.

დაკარგული შვილებისა და შვილიშვილების ერთობლივი ძებნის მეთოდების განსახილველად ქალები იკრიბებოდნენ ეკლესიებსა და კაფეებში, რითაც უბრალოდ საუბრისა და დაბადების დღის აღნიშვნის შთაბეჭდილებას ქმნიდნენ. ხვდებოდნენ პარკებში, თითქოსდა პიკნიკებზე; სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, თითქოსდა სასეირნოდ.

ასეთი სისტემატური ხასიათის ერთობლივი შეხვედრების შედეგად შეიქმნა ჯგუფი „მაისის მოედნის ბებიები“. შექმნის სიმბოლურ თარიღად მათ 1977 წლის 22 ოქტომბერი აიღეს. „მაისის მოედნის დედები“ კი დევიზით: „ვეძებოთ შვილიშვილები და არ დავივიწყოთ შვილები“, ჩამოყალიბდნენ „ბებიების“ ქვეჯგუფად.

უკვე მოგვიანებით „გამქრალი“ ადამიანების მოსაძებნად ისინი მიმართავდნენ სასამართლოებს, ცვლიდნენ ერთმანეთში ბავშვების ფოტოებს, აწარმოებდნენ საკუთარ ძიებას ან ქირაობდნენ ადვოკატებს, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. 1978 წლიდან მათ თხოვნით მიმართეს საერთაშორისო მხარეს. პირველ რიგში, კათოლიკურ ეკლესიას, პავლე მეექვსეს, მაგრამ მან რეაგირება არ მოახდინა. მაშინ მათ გაეროს ბავშვთა ფონდს და წითელ ჯვარს მიმართეს, მაგრამ ისინიც დუმდნენ. მხოლოდ 1978 წლის 5 აგვისტოს, ბავშვთა დაცვის დღეს, არგენტინაში საფეხბურთო მსოფლიო თასის ჩატარებიდან სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ, ყოველდღიური გაზეთი „La Prenza“ დათანხმდა, გამოექვეყნებინა „ბებიების“ მიმართვა, რომელშიც დაკარგულ ბავშვებზე იყო საუბარი. პრობლემამ მაშინვე მიიქცია საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღება, რამაც დაკარგული ბავშვების ძებნა შეამსუბუქა.

გაცილებით გვიან, 1981 წლის 9-10 დეკემბერს არგენტინის ქუჩებში 70 „ბებია“ და „დედა“ გამოვიდა თავისი პირველი საპროტესტო მარშით. ისინი მოდიოდნენ, პოლიციით გარშემორტყმულნი, ღამით, წვიმასა და სიბნელეში. მომდევნო დილით, დაახლოებით სამი ათასი ადამიანი უჭერდა მხარს გაბედულ და ძლიერ ქალებს და დემონსტრაცია, ადამიანის უფლებების დამცველი ლოზუნგების სკანდირებით, 24 საათს გაგრძელდა.

დღეისათვის სამოქალაქო ასოციაცია „მაისის მოედნის ბებიები“ მთელ არგენტინაში განლაგებული ექვსი ოფისია, რომლებიც საკუთარ გამოძიებას აწარმოებენ „გამქრალი“ შვილიშვილებისა და შვილების მოსაძებნად და ყველანაირი საშუალებით იქცევენ საზოგადოების ყურადღებას ადამიანის უფლებების დაცვის აუცილებლობისაკენ. ისინი ფლობენ ყველა იმ ოჯახის უნიკალურ გენეტიკურ რუკას, რომლებმაც დაკარგეს ნათესავები სამხედრო ხუნტის მმართველობის პერიოდში. ეს ეხმარება მათ, იოლად იპოვონ თავიანთი ახლობლები სისხლის გენეტიკური ანალიზის ჩატარების შედეგად.

2010 წლის სექტემბრისთვის მათ უკვე მოახერხეს 102 „შვილიშვილის“ პოვნა.

„ბებიების“ საქმიანობაზე გადაღებულია დოკუმენტური და მხატვრული ფილმები. არსებობს ერთი თეატრალური და რამდენიმე საბალეტო დადგმაც, პარიზში გახსნილია „მაისის მოედნის ბებიების“ სახელობის პარკი. 2008 წელს ასოციაცია ნომინირებულ იქნა ნობელის მშვიდობის პრემიაზე და კიდევ უფრო ბევრმა ადამიანმა გაიგო არგენტინის ისტორიის საშინელ პერიოდსა და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მებრძოლი მამაცი ქალების შესახებ.

ნანგ შარმ ტონგი: „ჩვენ მოვალენი ვართ, ვიბრძოლოთ მთელი გონებითა და აზრით“

ის - შანია, ბირმის ერთ-ერთი ეროვნების წარმომადგენელი. ბირმაში შანის ქალების მოქმედების პროპაგანდისტული გუნდის წევრი. ადამიანის უფლებათა REEBOK-ის 2005 წლის პრემიის მფლობელი. წარდგენილი იყო ალტერნატიული ნობელის პრემიაზე.

შარმ ტონგს გაუმართლა. ის, ექვსი წლისა, მშობლიური ბირმიდან ტაილანდში გადაიყვანეს, სადაც ბავშთა სახლში იზრდებოდა. ეს რომ არ მომხდარიყო, მას, როგორც შანს, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს, რომელიც ბირმის მოსახლეობის 9 პროცენტს შეადგენს, მთელი ცხოვრების გატარება მოუწევდა ბირმელი სამხედროების შიშის ქვეშ. ეს ის სამხედროები არიან, რომლებიც სისტემატურად ეწეოდნენ შანის მოსახლეობაზე სექსუალური ძალადობის, წამებისა და მკვლელობების კამპანიას.

ვერ იტყვი, რომ ტონგის ცხოვრება ტაილანდში ადვილი იყო. ის ობლობაში გაიზარდა. თუმცა აქაც გაუმართლა, რომ, ბევრი მისი თანატოლისგან განსხვავებით, განათლება მიიღო და არ გახდა ადამიანებით ვაჭრობისა და სექსინდუსტრიის მსხვერპლი.

ტონგი 16 წლისა სამოქალაქო აქტივისტი ხდება. ის წერდა: „სამხედროებმა ბევრი რამ გააკეთეს, რომ დაეზიანებინათ ჩვენი გულები, სული, მრწამსი და უფლებები. ძალზე ძნელია, ადამიანს დაავიწყდეს ის დანაშაულები, რომლებსაც სამხედროები სჩადიოდნენ. განსაკუთრებით სოფლებსა და საზღვრისპირა რაიონებში. ჩვენ მოვალენი ვართ, ვიბრძოლოთ ყოველივე ამის წინააღმდეგ მთელი გონებითა და აზრით, რომ არ ჩავრჩეთ შიშსა და ტკივილში“.

16 წლისა იყო, როდესაც გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიას მისცა ჩვენება შანის მცხოვრებთა მდგომარეობის შესახებ. მისმა ჩვენებამ ისეთი ზემოქმედება მოახდინა, რომ მომდევნო წელს კვლავ მიიწვიეს კომისიაზე. კომისია მოიხიბლა მისი გულწრფელობით, პატიოსნებით.

ის აირჩიეს ომის შედეგად დაზარალებულ ბავშვთა „ვინიპეგის“ კონფერენციის დელეგატად, სადაც ანგოლელ, კამბოჯელ, კოლუმბიელ, ბოსნიელ და უგანდელ თანატოლებს უზიარებდა თავის გამოცდილებას. ეს იყო პროექტი „ ბავშვები, როგორც მშვიდობისმყოფელები“. 2001 წელს კანადაში, მონრეალის ფორუმზე იქნა მიწვეული, სადაც გაიარა 3-კვირიანი კურსი ადამიანის უფლებებზე.

შარმ ტონგს მტკიცედ სჯერა, რომ ახალგაზრდებს შესწევთ ძალა, შეცვალონ საკუთარი თავი და გარესამყარო. ახალგაზრდა ქალთა ორგანიზაცია (SWAN) შანის ქალთა მოქმედების ქსელში მისი დაარსების დღიდან მოღვაწეობს. ის მონაწილეობს პროექტებში, რომლებიც ეხება ბირმელი ქალების ტაილანდის სექსინდუსტრიაში ჩართვას, დევნილ ქალებზე ძალადობას, შანიდან მიგრირებული ბავშვების განათლებას.

შარმი თავისუფლად ფლობს ინგლისურს, ტაილანდურს, ჩინურს და მშობლიურ შანს, რაც ქსელში მუშაობისას ძალიან დაეხმარა. ის მონაწილეობს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პროექტებში და ამით ცდილობს, მიუახლოვდეს თავის სანუკვარ ოცნებას, იხილოს დემოკრატიული ბირმა. მისი თავგანწირვა აერთიანებს ყველას, ვინც მასთან ერთად იღვწის უფრო სამართლიანი სამყაროსთვის.

შარმ ტონგის უშუალო მონაწილეობით 2010 წელს ქალთა ორგანიზაციამ (KWO) გამოაქვეყნა მოხსენება „ დანის პირზე", რომელიც 95 ქალი - მამასახლისის მოხსენებას ეფუძნება. იქ აღწერილია, როგორ ამბობდნენ კაცები უარს სოფლის მამასახლისობაზე იმის შიშით, რომ უეჭველი სიკვდილი ელოდათ ბირმელი სამხედროებისგან. „მამაკაცებს არ უნდოდათ საკუთარი სიცოცხლის გარისკვა, როგორც სოფლის მეთაურებს. მათი მოვალეობა ქალებმა იტვირთეს იმის მცირეოდენი იმედით, რომ სამხედროები ქალებს შედარებით უფრო დაზოგავდნენ“.

95 ქალის ჩვენება ცხადყოფს, რომ ეს იყო ნამდვილი კოშმარი. ისინი ყოველდღიურად სასიკვდილო საფრთხის ქვეშ იყვნენ. მათ ემუქრებოდნენ, ადგილი ჰქონდა ძალადობას (ხშირად სექსუალურ ძალადობასაც) ბირმის არმიის მხრიდან. ქალები ჰყვებიან, როგორ ხდებოდნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი თვითონ და მათი მცირეწლოვანი გოგონები.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა მკაცრად შეაფასეს მკვლელობები, დამონება, იძულებით გადასახლება, წამება და გაუპატიურება: „გაუპატიურება, როგორც ომის წარმოების ფორმა, აკრძალულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით, ეს ითვლება სამხედრო დანაშაულად და წარმოადგენს კაცობრიობის წინაშე დანაშაულს“.

მოხსენების ავტორთა მოთხოვნა იყო, რომ დამნაშავენი მკაცრად დასჯილიყვნენ. 2007 წელს იყო მეორე მოხსენება „სასოწარკვეთილი მდგომარეობა“, სადაც ბირმის არმიის მხრიდან ადამიანის უფლების დარღვევის ოთხი ათასი შემთხვევა იყო დაფიქსირებული. განსაკუთრებით მძიმე იყო მასობრივი გაუპატიურება, როგორც წამების მეთოდი, რათა დაეთრგუნათ ადგილობრივი მოსახლეობა.

კიდევ ერთი პროდუქტი შარმ ტონგის დაძაბული შრომისა: ბირმის ქალთა ლიგამ 2006 წელს გამოსცა დოკუმენტი „სამხედრო დანაშაული ბირმაში“, სადაც დოკუმენტურად იყო აღწერილი, როგორ მი-

მართავდა არმია სექსუალურ ძალადობას ქალთა მიმართ.

იქვე იყო მოცემული ჯარისკაცების ინტერვიუ. ბირმის არმიის ოფიცრები და ჯარისკაცები არც კი უარყოფდნენ გაუპატიურების ფაქტებს: „ჩვენ არ ვცემთ მათ პატივს, ან რატომ უნდა გავაკეთოთ ეს? ჩვენ გვეუბნებიან, რომ არმია ყოველთვის მართალია. არმია კანონზე მაღლაა. მას შეუძლია, გააკეთოს ყველაფერი, რაც სურს: იძალადოს ქალებზე, აქციოს ბავშვები ჯარისკაცებად, წაიყვანოს ქალები ბანაკში, რათა მათ დაალაგებინოს, გააკეთებინოს საჭმელი და გამოიყენონ სექსისთვის“.

ერთ-ერთმა ოფიცერმა განმარტა, რომ „შავ“ ზონებში, სადაც ოპოზიციაა, ჯარისკაცებს ნაბრძანები აქვთ, გაუფრთხილებლად ესროლონ. არც ერთი ჯარისკაცი არ დასჯილა ადგილობრივების გაუპატიურებისა და მონური შრომის გამოყენებისთვის. „იძულებითი შრომა ყველგანაა, უწლოვანი ჯარისკაცები - ყველგანაა და ყველგანაა გაუპატიურება“.

ერთ-ერთი ჯარისკაცი აღიარებს, რომ პირველობა ამ საქმეში სერჟანტებს და ოფიცრებს ეკუთვნით. შემდეგ ისინი რიგით ჯარისკაცებს გადასცემენ ქალებს, რომლებიც მათ ძალიან ხშირად, უბრალოდ, ხოცავენ...

ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი გამოდგა ტონგის მოხსენება „ლიცენზია სექსუალურ ძალადობაზე“. მასში დაწვრილებითაა აღწერილი, ბირმის არმიის მიერ, სექსუალური ძალადობის სისტემატური გამოყენების გზით როგორ ხორციელდება შანის მოსახლეობაზე კონტროლი: „არც ერთი ქალი - არც ახალგაზრდა, არც მოხუცი, არც ბავშვი - არ არის დაზღვეული ბირმის არმიის ჯარისკაცების მხრიდან ძალადობისაგან“.

მოხსენებაში საშინელი ფაქტებია დაფიქსირებული, დოკუმენტურად მტკიცდება ბირმელი სამხედროების მიერ განხორციელებული სექსუალური ძალადობა 600-ზე მეტ ქალზე. აშკარად იკვეთება, რომ ბირმული რეჟიმი სექსუალურ ძალადობას განიხილავს, როგორც ომის წარმოების საშუალებას. 7 თვის ფეხმძიმე ქალებზე ძალადობა ხორციელდებოდა თვეების განმავლობაში. ხშირი იყო შემთხვევები, რომ დედაზე და შვილზე ერთდროულად ძალადობდნენ. ძალადობის მსხვერპლი ხდებოდა 4 წლის ბავშვიც კი...

ტონგის მოხსენება საყოველთაოდ ცნობილი გახდა, რასაც ბუნებრივია, ბირმის მთავრობის გაკიცხვა მოჰყვა. ამ მოხსენების შემდეგ ის თეთრ სახლშიც კი მიიწვიეს, სადაც პრეზიდენტ ბუშთან ერთსათიანი აუდიენცია ჰქონდა და პირადად, დაწვრილებით მოუთხრო მას ქვეყანაში სამხედრო რეჟიმის მიერ დატრიალებული უბედურებების შესახებ.

ათ წელზე მეტი გავიდა იმ დროიდან, თუმცა - ბირმაში დიდად არაფერი შეცვლილა... მიუხედავად იმისა, რომ მსგავს დასკვნებს დებენ ისეთი სერიოზული ორგანიზაციები, როგორიცაა Amnesty International, Human Rights Watch.

ბირმელი გენერლები კი - ძველებურად გზავნიან თავიანთ შვილებს საზღვარგარეთ, ძვირადღირებული განათლების მისაღებად, სამკურნალოდ მიფრინავენ საუკეთესო კლინიკებში, სტუმრობენ საუკეთესო მაღაზიებს და ფულს ინვესტიციებში ქვეყნის გარეთ აბანდებენ...

შარმ ტონგს მიაჩნია, რომ დღემდე არ მომხდარა შესაფერისი საერთაშორისო რეაგირება. ის გულნატკენია იმის გამო, რომ გაერო და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტები უმოქმედო არიან ბირმაში ადამიანების, განსაკუთრებით ქალთა უფლებების დარღვევის მიმართ: **„20 წლის წინათ მათ შეეძლოთ ეთქვათ, რომ არაფერი იცოდნენ. დღეს გაეროს უმაღლესმა საბჭომ კარგად იცის, რომ გრძელდება დანაშაულებრივი ქმედება ბირმის მოქალაქეთა მიმართ. მათ უნდა მიიღონ ქმედითი ზომები, ისეთივე როგორიც ბოსნიაში, ლიბანში და აფრიკის სხვა ქვეყნებში“.**

შარმ ტონგი არ ეპუება ადგილობრივ ჩინოვნიკთა თავგასულობას, ეძებს საერთაშორისო მხარდაჭერას და ხელშესახებ დახმარებას, რათა ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს ძალადობა ბირმაში.

> **„ბრძოლა გაგრძელდება. ჩვენ მოვალენი ვართ, ბრძოლა გავაგრძელოთ იმ ქალების დასახმარებლად, რომლებმაც საკუთარ თავს სძლიეს და სააშკარაოზე გამოიტანეს საშინელება, რომელიც თავს დაატყდათ. როდესაც ძალადობის ფაქტებს იხსენებენ, ხელახლა განიცდიან თავს დამტყდარ საშინელებას. დაე, გვქონდეს იმის შთაგონება, რომ მხარში დავუდგეთ ამ მამაც ქალბატონებს და ვიბრძოლოთ მშვიდობისა და დემოკრატიის დასამყარებლად ბირმაში!“**

ის არა მარტო სამართლიანობის აღდგენისთვის იღვწის. ცდილობს, დაეხმაროს თავის თანამემამულე ქალებს, რომელთაც ომის პერიოდში, ომის შემდეგ, ათასგვარი საშინელება გამოიარეს. ბოლო 7 წლის განმავლობაში, ტონგის მეცადინეობით, დაარსდა სკოლა ტაილანდში დევნილი შანებისთვის. ჩამოყალიბდა ქალთა ჯგუფების ქსელი. შეიქმნა პროგრამები ქალთა მონაწილეობის მიზნით დემოკრატიული კონსტიტუციის შექმნის საქმეში. დაარსდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცენტრი. მან აგრეთვე ხელი მოკიდა საფეიქრო წარმოებას და ამზადებს პროექტებს, რომლითაც ფინანსდება საფეიქრო ინიციატივები.

ასეთია მამაცი ბირმელი ქალი ნანგ შარმ ტონგი.

მშვიდობის დამცველი ქალების უდიდესი გამოცდილება

ნაკლები ყურადღება ექცევა ქალების როლს აჩეხში, მათ მონაწილეობას პოლიტიკასა და სამშვიდობო საქმეში. ამ პროვინციაში ქალთა მიმართ ძალადობა ჰუმანიტარულ ტრაგედიად იქცა, იმიტომ რომ კონფლიქტის დროს ქალები ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან. ისინი მხრებით ეზიდებიან იმ პასუხისმგებლობას, რომელსაც „მტრის“ ცოლობა თუ ნათესაობა ჰქვია.

პროვინცია აჩეხში ქალებმა, როგორც მშიდობისმყოფელებმა, პოზიტიური როლი შეასრულეს, მაგრამ ისინი გარიცხეს სამშვიდობო პროცესებიდან. ეს არა მარტო უსამართლობაა, არამედ ხელს უშლის სამშვიდობო პროცესს.

არის დიდი, პასუხგაუცემელი შეკითხვა: როდისღა მომწიფდებიან პოლიტიკოსები, რომ გამოიყენონ ქალთა უზარმაზარი პოტენციალი აჩეხში მყარი მშვიდობის მისაღწევად?

2000 წელს პირველად პროვინცია აჩეხში

„ქალთა კონგრესმა“ გააკეთა მოწოდება, მეტი ქალი შეეყვანათ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქალებს არ მიაღებინეს მონაწილეობა დისკუსიებში, რომლებიც პროცესს სამშვიდობო შეთანხმებასთან მიიყვანდა.

ქალები იძულებული იყვნენ, ალტერნატიული გზები გამოეძებნათ, მაგალითად, ქალთა პოლიტიკური ქსელის მეშვეობით, რომელიც დააკვირდებოდა, თუ რამდენად კანონიერად ხდებოდა აჩეხის მართვა.

ქალები ფორმალურად მაინც უნდა იყვნენ ჩართულნი სამშვიდობო მოლაპარაკებებში. აჩეხის პროვინციაში უყურადღებოდაა დარჩენილი ქალის როლი კონფლიქტის მოგვარებაში. მათ მცდელობას გადარჩენისათვის, სწორი პოლიტიკის გატარებისა და მშვიდობისთვის ძალადობრივი კონფლიქტი მოყვა, რომელიც ტრაგედიაში გადაიზარდა, იმიტომ რომ ქალები ყველაზე დაუცველები არიან: ისინი ხდებიან ძალადობის მსხვერპლი. ეს უსამართლობაა, რადგან პროვინცია აჩეხის ქალები სტრატეგიულ როლს ასრულებენ, მათ მოახერხეს, მოენახათ უნიკალური ხერხი გადარჩენისათვის, შეასრულეს მისია კონფლიქტურ მხარეთა შორის მოლაპარაკებებში და ძალისხმევას არ იშურებენ მეუღლეებისა და შვილების გადასარჩენად.

როდესაც მამაკაცები იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ თავიანთი ოჯახები, ქალები გახდნენ ოჯახის მარჩენალნი. ისინი ასუფთავებდნენ და ღებავდნენ ისლამურ სკოლებს, მიდიოდნენ მინდორში, აგროვებდნენ შეშას.

ქალები ზრუნავდნენ შვილებზე, მათ გა-

ნათლებაზე, მალავდნენ ვაჟებს, რომლებზეც ნადირობდნენ მათი მამებისა და ბიძების რელიგიური შეხედულების გამო.

ქალთა ჯგუფებმა წამოიწყეს კამპანია: ავრცელებდნენ ინფორმაციას, ასწავლიდნენ ადამიანის უფლებებს, გაეროს აწვდიდნენ ინფორმაციას ადამიანის უფლებათა დარღვევაზე.

ამ ქალთა შორის ბევრს აუპატიურებდნენ, აშინებდნენ, ისინი კი მაინც იბრძოდნენ სამართლიანი საზოგადოების შექმნისათვის.

●

2000 წლის ოქტომბერში გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 1325 თემაზე: „ქალი, მშვიდობა და უსაფრთხოება“. მან განსაზღვრა ქალის როლის მნიშვნელობა და მისი თანაბარუფლებიანი მონაწილეობა კონფლიქტის დარეგულირებასა და მშვიდობის განმტკიცებაში. რამდენიმე თვით ადრე პროვინცია აჩეხში შეადგინეს დღის წესრიგი I ყრილობისათვის, რომელსაც 500 ქალი ესწრებოდა. მათ შორის ბევრი ამ შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლი იყო და ჰქონდათ მწარე გამოცდილება. ქალებმა დაწერეს 22 რეკომენდაცია, მათ შორის ინდონეზიის პრეზიდენტ აბურახმან ვახიდის სახელზე.

სამწუხაროდ, სამშვიდობო მოლაპარაკებაში ქალებს არ მიაღებინეს მონაწილეობა. უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 არ ამოქმედდა.

არ არის გასაკვირი, რომ ქალების მონაწილეობის გარეშე ამ პროცესში მათი ინტერესები ნაკლებად არის დაცული.

ინდონეზიის მთავრობამ თავის ეროვნულ პოლიტიკაში უნდა განახორციელოს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325, უნდა ჩართოს ქალები რეინტეგრაციისა და შერიგების პროცესში, კონფლიქტის ზონაში მშვიდობის დასამყარებლად.

ქალთა გამოცდილების გამოყენება მეტად მნიშვნელოვანია და ის უნდა გახდეს საფუძველი სტრატეგიისთვის, რომელიც გაითვალისწინებს გენდერულ კომპონენტებს ყველა პროგრამაში. მხოლოდ ამის შედეგად იქნება შესაძლებელი სრულფასოვანი მშვიდობის დამყარება.

მყარი მშვიდობა იქნება მიღწეული, თუ ქალები და მამაკაცები თანაბრად მიიღებენ მონაწილეობას სამშვიდობო მოლაპარაკებებში. ეს მხოლოდ დასაწყისია, აჩეხის მოსახლეობას უფრო რთული ამოცანების შესრულება მოუწევს, როგორიცაა ურთიერთობის აღდგენა, შერიგება და რეაბილიტაცია.

ქალთა დასახმარებლად შეიქმნა სხვადასხვა ორგანიზაცია, თუმცა დღემდე ქალის ხმას ყურადღებას არ აქცევენ.

აჩეხში ინტეგრაციის საბჭოს 43 წევრიდან მხოლოდ 3 ქალია. გარდამავალი პერიოდის კომიტეტში კი არცერთი ქალი არ არის.
მიუხედავად ამისა, ქალებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ: 2004 წელს მათ შექმნეს ქალთა მშვიდობის ქსელი, რომელშიც 2005 წლის დეკემბერში შედიოდა 26 ორგანიზაცია. ისინი ცდილობდნენ, ქალებს მონაწილეობა მიეღოთ სამშვიდობო მოლაპარაკებებში. გენდერული ბალანსის დაცვის მიზნით შეიქმნა მუშა ჯგუფი მხარეების მონიტორინგისათვის. უფრო დაბალი ქვეჯგუფის ქალთა ჯგუფები აწყობდნენ თათბირებს და სემინარებს.

ეს ძალიხმევა, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი და კვლავ რჩება კითხვა: როდის მიხვდებიან პოლიტიკოსები, რომ უნდა გამოიყენონ აჩეხის ქალების უდიდესი გამოცდილება, დიდი ძალა მშვიდობის დამყარებისათვის.

დედა ჰავა - გალკაიოს დედოფალი: „ბვირაბის ბოლოს შუქი ჩანს!“

ჰავა ადენ მოჰამედი - მამაცი ქალბატონი. მან მთელი ცხოვრება დევნილი სომალელი ქალებისა და გოგონების კეთილდღეობისთვის ბრძოლას მიუძღვნა. მიუხედავად უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორისა, როგორიცაა მაგალითად, ორი ათწლეულის განმავლობაში გაგრძელებული კონფლიქტი, გახლეჩილი სომალელი საზოგადოება და დევნილად ქცეული ორი მილიონი სომალელი, ქალბატონმა ჰავამ დაამტკიცა, რომ ამგვარ, ყველაზე რთულ მდგომარეობაშიც კი ყოველ ბავშვს შეუძლია და აქვს შანსი, მიიღოს განათლება. მან ბევრი ადამიანის ცხოვრება შეცვალა, მისცა შესაძლებლობა, ყოფილიყვნენ მასწავლებლები და ლიდერები - ზუსტად ისინი შეძლებენ ოდესმე სომალის აღორძინებას. ქალბატონი ჰავას გამბედაობა მისაბაძი მაგალითია ჰუმანიტარულ სფეროში მომუშავე ადამიანისათვის მთელ მსოფლიოში.

> **„მივესალმებით ჰავა ადენ მოჰამედის წვლილს ასობით ქალის გადარჩენის, აღზრდის და განათლების საქმეში, რომელთა უმრავლესობა საშინელი ძალადობის მსხვერპლი იყო“. - დევნილთა საქმის გაეროს უმაღლესი კომისარი ენტონი გუმერიში.**

2012 წელს ჰავა ადენ მოჰამედს მიენიჭა პრემია „მშვიდობისა და განვითარებისათვის“ სომალის ჩრდილო-აღმოსავლეთით, გალკაიოში საგანმანათლებლო ცენტრის ჩამოყალიბებისთვის. ეს ჯილდო ერგო დევნილი სომალელი ქალებისა და გოგონების კეთილდღეობისთვის შეტანილი უდიდესი წვლილის გამო; იმ ადამიანებზე მუხლჩაუხრელი ზრუნვისთვის, რომლებიც დაუჯერებლად რთულ პირობებში ეძებდნენ სამყოფელს ქვეყანაში, სადაც ათწლეულებია, მძვინვარებს ძალადობა, კონფლიქტები და ირღვევა ადამიანთა უფლებები.

თავადაც ყოფილი დევნილი „დედა ჰავა“, როგორც მას სომალიში უწოდებენ, 1995 წელს დაბრუნდა ომებისგან დაღლილ სამშობლოში და დაიწყო ამბიციური საგანმანათლებლო პროგრამა მათთვის, ვინც იძულებული იყო, გაქცეოდა კონფლიქტებსა და შიმშილს. მისმა საქმიანობამ ძალადობის მსხვერპლი ათასობით დევნილი ქალისა და გოგონას სიცოცხლე ძირფესვიანად შეცვალა. დღეისთვის ისინი სომალის საზოგადოების შედარებით დაცულ წევრებს წარმოადგენენ.

ორ ათწლეულზე დიდხანს მიმდინარე კონფლიქტმა აიძულა ორ მილიონზე მეტი სომალელი, წასულიყო უსაფრთხოებისა და თავშესაფრის საძებნელად ქვეყნის სხვა რეგიონებში და საზღვრებს გარეთ. სიტუაცია გაართულა გვალვამ და მისგან გამოწვეულმა შიმშილმა, რომელმაც უსახლკაროდ დატოვა კიდევ ნახევარი მილიონი ადამიანი.

სწორედ ამგვარ პირობებში ჰავა ადენ მოჰამედმა დააარსა ადგილი, სადაც დევნილ ქალებს და გოგონებს შეეძლოთ ეგრძნოთ თავი უსაფრთხოდ, დაცულად. ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ყველაფრის საწყისია განათლება, განსაკუთრებით გოგონებში.

„მე ვფიქრობ, რომ გაუნათლებლობა ავადმყოფობაა. განათლების გარეშე შენ არ არსებობ - შესაძლოა არსებობდე ფიზიკურად, მაგრამ არა - ცნობიერად, ემოციურად,“ - ამბობდა დედა ჰავა.

ცენტრი, რომელიც მან დააარსა და რომელსაც ხელმძღვანელობს, იძლევა საშუალო და პროფესიულ განათლებას; საშუალებას აძლევს ქალებს და გოგონებს, იცხოვრონ დამოუკიდებლად და თავად აირჩიონ საკუთარი როლი სომალის საზოგადოებაში.

„დადგა დრო კულტურული ცვლილებებისა“, - ამბობს ის. - „ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ კარგი და გავთავისუფლდეთ ცუდისგან. ყველაზე მნიშვნელოვანია, გავაძლიეროთ გოგონები“.

დედა ჰავა ხმას იმაღლებს ქალთა უფლებებისთვის. განსაკუთრებით წინააღმდეგია ქალთა წინადაცვეთისა, მისი და გარდაიცვალა ასეთი ოპერაციისგან 7 წლის ასაკში.

1999 წლიდან, ანუ დაარსებიდან დღემდე, გალკაიოს ცენტრი, რომლის მესაჭედაც გვევლი-

ნება დედა ჰავა, დაეხმარა 215 000 დევნილს და ძალადობის მსხვერპლს - ეპოვათ ადგილსამყოფელი, ემკურნალათ და დაეწყოთ ცხოვრება თავიდან. სომალი რჩება ერთ-ერთ ყველაზე კრიზისულ რეგიონად მსოფლიოში. მილიონობით სხვა ქვეყანაში დევნილთან ერთად, 1,3 მილიონი ადამიანი ქვეყნის შიგნით იქცა დევნილად. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის მესამედი იძულებით გადაადგილებული პირია.

გაეროს სპეციალური წარმომადგენელი სომალიში ოგასტენ მაჰიგა მიიჩნევს, რომ ქალებს შეუძლიათ, ითამაშონ აქტიური როლი სტაბილური და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.

„მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდნენ ცხოვრების უკანა პლანზე, ისინი ფლობენ ენერგიის, გაბედულებისა და მამაცობის უშრეტ წყაროს. მათ სურთ, მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში, უნდათ ქვეყნის შენება და მუშაობა მის ასაღორძინებლად“.

გაეროს სპეციალური ელჩი, მსახიობი ანჯელინა ჯოლი თავის მილოცვაში ხაზს უსვამს ჰავა ადენ მოჰამედის წვლილს დევნილების პრობლემების მოგვარებაში.

„ქალბატონმა ჰავამ დაამტკიცა, რომ ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება და შანსი“, - განაცხადა ანჯელინამ.

- მე ვცხოვრობდი ეთიოპიის საზღვართან, დაკავებული ვიყავი მეცხოველეობით, - ყვება სომალელი დევნილი საჰრა მოჰამედ იბრაგიმი. - გვალვის შედეგად ყველა პირუტყვი დავკარგე. იქ მიმდინარეობდა ბრძოლები კლანებს შორის, ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, დაგვეტოვებინა ეს რაიონი და გადავსულიყავით უფრო უსაფრთხო ადგილას, ასე მოვხვდით აქ“.

ეს რეგიონი გახდა სახლი ბევრისთვის, ვინც გამოექცა ძალადობას, გვალვასა თუ შიმშილს. თავისი ოჯახის დასაპურებლად, საჰრა მხოლოდ სხვა დევნილების სოლიდარობის იმედზე შეიძლება იყოს და ასევე ერთი ადამიანის, რომელსაც აქ ყველა იცნობს.

ჰავა ადენ მოჰამედმა ჩაუსახა იმედი რამდენიმე ათას დევნილს, მაგალითად, აშას, რომელიც ზრდის 9 შვილს და 5 დისშვილს. 300 დოლარის ოდენობის კრედიტმა მას საშუალება მისცა, გაეხსნა დახლი ბანაკის ბაზარში, რომელიც დაფუძნდა ჰავას და მისი ასოციაციის მხარდაჭერით.

ჰავა: „მთელი ბაზარი გახსნილია მათთვის, მაგრამ დღის მეორე ნახევარში დრო განათლებას უნდა დაუთმონ, იარონ სკოლაში, ეს არის მთავარი მოთხოვნა. როგორ შეძლებთ თქვენი უფლებების დაცვას, თუ თქვენ გაუნათლებელი ხართ, თუ ვერ ხედავთ პრობლემის არსს? თუ არა გაქვთ განათლება, შეიძლება განიხილოთ, ილაპარაკოთ, გაიგოთ, რა არის სიმართლე და რა არა, მაგრამ თქვენ არ გექნებათ ის დონე, რომლითაც შეძლებთ თქვენი უფლებების დაცვას.

ასოციაცია შეიქმნა 1999 წელს, როდესა ჰავა ადენ მოჰამედმა გადაწყვიტა, დაბრუნებულიყო თავისი ქვეყნის ქალების დასახმარებლად. ეს მისია მისთვის უცხო არ ყოფილა, 80-იან წლებში ის კურირებდა ქალების საქმეს განათლების სამინისტროში. შემდეგ შექმნა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ქალების განათლებისა და ეკონომიკური საქმიანობის სფეროში.

სამოქალაქო ომმა აიძულა, ემიგრაციაში წასულიყო კანადაში, საიდანაც დაბრუნდა 1995 წელს და ქვეყნის სამხრეთით დასახლდა, მაგრამ კლანური ომების გამო იძულებული გახდა, იქიდანაც გაქცეულიყო.

როდესაც ის გალკაიოში ჩავიდა, მისი იდეები ქალების ემანსიპაციის შესახებ ადგილობრივ ტრადიციებს შეეჯახა.

„მე აღმიქვამდნენ როგორც ალქაჯს, - იხსენებს ჰავა. - აქ სკოლის გახსნა მიიჩნიეს როგორც საშინელი წამოწყება. მე ვიყავი სრულიად განსხვავებული, ჩემი იდეები აღქმული იყო როგორც უვარგისი, ჩვენი რელიგიიდან და კულტურიდან გამომდინარე და ამიტომ იყო ძალიან

დედა ჰავა - გალკაიოს დედოფალი: „გვირაბის ბოლოს შუქი ჩანს!“

რთული გოგონებისთვისაც, რომლებსაც გამუდმებით შეურაცხყოფდნენ“.

ამ ადამიანების ძალისხმევით, 10 წლის განმავლობაში გაიხსნა ათი სკოლა გოგონებისათვის და ერთი სკოლა ბიჭებისთვის, ინტერნატები, დასვენების ცენტრები და ერთადერთი ბიბლიოთეკა ქალაქში.

სწორედ ამ ძალისხმევის შედეგი იყო ის, რომ რეგიონის გოგონების 40%-თვის ხელმისაწვდომი გახდა დაწყებითი და საშუალო განათლება, როდესაც მთლიანად ქვეყანაში აღნიშნული მაჩვენებელი 25%-ზე დაბალია.

ცენტრმა საშუალება მისცა დევნილ ქალებსა და გოგონებს, გაევლოთ პროფესიული გადამზადების კურსები.

აღნიშნულთან ერთად, ფრიად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჰავას ცენტრები არის უსაფრთხო ადგილი გოგონებისთვის, რომლებიც ძალიან ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლი.

გალკაიოში ყოველკვირეულად 3-4 გაუპატიურება ფიქსირდება. ქალების წინააღმდეგ ძალადობა არასამართლებრივ ქვეყანაში, სადაც გამეფებულია უკანონობა - არის სერიოზული პრობლემა ჰავა ადენ მოჰამედისთვის.

ის აგრეთვე ილაშქრებს ძალადობის სხვა ფორმის წინააღმდეგ, როგორიც არის ქალების ტრადიციული წინადაცვეთა, რომლის მსხვერპლიც თვითონ გახდა.

„მე ვიყავი 6 თუ 7 წლის და ძალიან კარგად მახსოვს, რაც მოხდა, - იხსენებს ჰავა. - მაშინ არ არსებობდა ანესთეზია. ჩემი და გარდაიცვალა წინადაცეთისგან. დღესაც კი იღუპებიან გოგონები. არსად არ თქმულა, რომ ღმერთმა შეგვქმნა ჩვენ, მაგრამ ჩვენს სხეულზე არის ცუდი ნაწილი, რომელიც უნდა მოიჭრას. მსგავსიც კი არაფერი დაწერილა. ის კეთდება მხოლოდ და მხოლოდ ქალური სექსუალურობის დასაშოშმინებლად“.

ჰავა ადენს არ შეუძლია შვილების ყოლა. ის მუხლჩაუხრელად ეწევა საინფორმაციო კამპანიას საზოგადოებასა და სამთავრობო ორგანოებთან, რომ ბოლო მოუღონ ამ სასტიკ ტრადიციას, რომლის მსხვერპლია სომალის მდედრი მოსახლეობის 98%.

„შეხედეთ ამ გოგონებს, მათ ყველას გაუკეთეს წინადაცვეთა, ეს ძალიან სამწუხაროა. რატომ გრძელდება ეს საუკუნეების განმავლობაში? - მამაკაცების გამო. მამას რომ ეთქვა: „არა - ჩემს გოგოს“, ან ძმას: „არა - ჩემს დას“, ან ახალგაზრდა მამაკაცს: „არა - ჩემს მომავალ ცოლს“ - წინადაცვეთები დამთავრდებოდა.

მუშაობა ხალხის მენტალობის შესაცვლელად განწირულია წარუმატებლობისთვის, მამაკაცების დახმარების გარეშე, - ირწმუნება ქალბატონი, რომელმაც შეძლო თავის დამკვიდრება გალკაიოში. ის ამბობს, რომ მომავლის იმედი მხოლოდ მომავალ თაობაზეა.

მომავალ თაობაზე ზრუნვა, ეს არის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება იმ ადამიანისთვის, რომელსაც ახლა გალკაიოს დედოფალს ეძახიან.

ჰავა ჩართულია მოქიშპე მხარეებს შორის ნდობის აღდგენის საქმეში. სპორტული ღონისძიებები ეს არის კლანებსა და დაჯგუფებებს შორის მშვიდობის დამყარებისკენ მიმართული ერთ-ერთი საშუალება.

„ესენი არიან ისინი, ვინც ადრე ძალადობდა, ყაჩაღობდა. ხედავთ მათ ერთობას? როდესაც ახლა მათ ვეკითხებით, რას გააკეთებთ შემდეგ? - ისინი პასუხობენ: „ჩვენ დავიცავთ ჩვენს დებს, ჩვენ დავიცავთ ჩვენს მეზობლებს, ჩვენ დავიცავთ ჩვენს დედებს“. ხედავთ? ხალხი ერთიანდება. გვირაბის ბოლოს შუქი ჩანს.“

მალალა იუსუფზაი: ...პოპონები რომ ბედნიერები იყვნენ!

დაბადების თარიღი: 12.07.1997 წელი
დაბადების ადგილი: მინგორას ველი
მოქალაქეობა: პაკისტანი

მალალა იუსუფზაის დღიურიდან
3 მარტი, 2009 წელი

ჩემს უმცროს ძმას არ უყვარს სკოლაში სიარული. ტირის იქითობისას და მხიარული ბრუნდება უკან. მაგრამ დღეს ის სახლში შიშისგან აცრემლებული დაბრუნდა. ამბობს, რომ, როგორც კი დაინახავს ვინმეს, იწყებს ტირილს, ეშინია, ტყვედ არ აიყვანონ... ჩემი ძმა ხშირად ლოცულობს, რათა „ღმერთმა მშვიდობა დაასადგუროს სვატში, თუ არა და ამერიკელები ან ჩინელები მაინც გამოგზავნოს“. ისევ იყო შეტაკებები და ეს უფრო და უფრო ხშირად ხდება ბოლო დღეების განმავლობაში. დღეს მესმოდა ნაღმტყორცნიდან სროლის ხმები. ხალხს ისევ ეშინია, რომ მშვიდობიანი პერიოდი დიდხანს არ გასტანს. ზოგიერთი ამბობს, რომ სამშვიდობო შეთანხმება სამუდამო არ არის - ეს მხოლოდ შესვენებაა ბრძოლებს შორის.

მალალა იუსუფზაის დღიურიდან
19 იანვარი, 2009 წელი

კიდევ ხუთი სკოლაა დანგრეული. ერთ-ერთი მათ შორის ჩემი სახლის გვერდით იდგა. მე მიკვირდა, რატომ იყო ეს სკოლები დახურული. რატომ უნდა დაენგრიათ ისინი? არავინ დადიოდა სკოლაში „თალიბანის“ ბრძანების შემდეგ. დღეს მე ვიყავი სტუმრად მეგობართან და მან მითხრა, რომ რამდენიმე დღის წინ მოკლეს მაულან შახ დაურანის (პაკისტანელი „თალიბების“ მეთაურის მოადგილე) ბიძა. მან თქვა, რომ შესაძლებელია „თალიბანმა“ დაანგრია სკოლები, რათა შური ეძია მისთვის. მან თქვა, რომ როდესაც თალიბები უტევენ, ისინი ჯავრს იყრიან ჩვენს სკოლებზე. სამხედროები კი არაფერს აკეთებენ. სხედან თავიანთ თავშესაფრებში, კლავენ თხებს და სიამოვნებით მიირთმევენ.

თალიბანური კანონის მიხედვით, გოგოებს ეკრძალებათ სკოლაში სიარული, ზუსტად ამის წინააღმდეგ ცდილობდა ბრძოლას მალალა. მისი აზრები მსოფლიო მოწყობაზე და მის არასრულფასოვნებაზე, ასევე მოსაზრებები ისლამის შესახებ, გოგონამ გამოაქვეყნა თავის ბლოგში, რომელიც საბოლოო ჯამში თალიბების მიერ შეფასდა, როგორც ისლამის კრიტიკა. მას შემდეგ, რაც მან დაიწყო ბლოგის წარმოება სვატის ველზე თალიბების მმართველობის შესახებ, ისინი მოკვლით ემუქრებოდნენ მალალას და მის მამას.

2012 წელს მთელმა მსოფლიომ შეიტყო გოგონას შესახებ, რომელსაც სკოლის ეზოში მიჯრით ესროლეს თალიბებმა.

მსოფლიო პრესა წერდა: მალალა იუსიფზაი 15 ოქტომბრიდან იმყოფება ბირმინგემის საავადმყოფოში, სადაც თანდათანობით იკრებს ძალებს ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული მრავლობითი ჭრილობის შემდეგ. ის კინაღამ დაიღუპა, როდესაც სკოლის ეზოში თალიბებმა ავტომატით ჩაცხრილეს.

მათ შური იძიეს მალალას მიერ მათი დანაშაულებების მხილების გამო, ასევე იმიტომ, რომ მალალა იბრძოდა ახალგაზრდა პაკისტანელების უფლებებისთვის, რათა მათ თავად აერჩიათ საკუთარი გზა ცხოვრებაში და არა ის, რომელსაც თავს ახვევდნენ დრომოჭმული ტრადიციები.

თავდასხმის შემდეგ, მალალა გახდა თალიბების ბოროტი ზრახვებისაგან პაკისტანის ახალგაზრდა თაობის დაცვის სიმბოლო და სახელი გაითქვა მთელ მსოფლიოში, მათ შორის დიდ ბრიტანეთშიც. ბრიტანეთში პაკისტანის მრავალრიცხოვანი დიასპორის წარმომადგენელმა ქალებმა ხელი მოაწერეს პეტიციას ნობელის პრემიის ნომინაციაზე მალალას წარდგენის მოთხოვნით.

ბევრმა მათგანმა ძალიან კარგად იცის, რა შეუძლიათ თალიბ ექსტრემისტებს და ამიტომ თვლიან, რომ მამაცი გოგონა იმსახურებს პრესტიჟულ ჯილდოს. ამ მოსაზრებას იზიარებს ბევრი ქალბატონი კანადიდან, საფრანგეთიდან, ესპანეთიდან.

თავად მალალა კი დაჭრის შემდეგ ისევ აგრძელებს სწავლას. ის თანდათან უბრუნდება ცხოვრების უწინდელ რიტმს და ცდილობს, დაივიწყოს ის საბედისწერო დღე: „ვფიქრობ, რომ ჩემი სკოლაში დაბრუნება იქნება ყველაზე ბედნიერი მომენტი. ავიღებ ჩემს სახელმძღვანელოებს, ჩანთას, დავეკონტაქტები მეგობრებს, ვისწავლი, გავიცნობ ჩემს მასწავლებლებს. ეს იქნება საუკეთესო დღე ჩემს ცხოვრებაში“.

მალალა იუსუფზაი:
„მინდა ვისწავლო პოლიტიკური და სოციალური მეცნიერებები და კანონები. მინდა გავიგო, როგორ შეიძლება მიაღწიო ცვლილებებს და რა უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ გოგონებმა დაუბრკოლებლად მიიღონ განათლება და იყონ ბედნიერები“.

მალალა აგრძელებს ბრძოლას გოგონების განათლების უფლებისათვის. ის საკულტო ფიგურა გახდა მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა. ათეულათასობით ადამიანი აწერს ხელს ონლაინ პეტიციას, რომელშიც არის მოწოდება, რომ ის წარდგენილი იყოს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე.

ვისაკა დარმადასა: „დედის ხმას დიდი გავლენა აქვს, როდესაც ამბობს: „არა - სისხლისღვრას!“

„შრი-ლანკაში ორ ათწლეულზე მეტი ხანგრძლივობის კონფლიქტის დროს მოხდა ჩვენი ქვეყნის დანგრევა და ჩვენი ხალხის განადგურება”, - ამბობს ვისაკა დარმადასა, სამშვიდობო მოძრაობის აქტივისტი კანდიდან. მისი ვაჟი, შრი-ლანკის ჯარისკაცი, 1998 წელს სამხედრო ბაზაზე „ტამილის ვეფხვების” თავდასხმის შემდეგ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. მას დღემდე არ ასვენებს ფიქრი 21 წლის დაკარგულ შვილზე.

„თუკი თქვენ იცით, რომ თქვენი შვილი მკვდარია, მისი დატირება მაინც შეგიძლიათ,“ - ამბობს ვისაკა დარმადასა. - „მაგრამ ჩემთვის ეს საკითხი მარადიულად დგას“.
საკუთარი ვაჟის ბედით შეწუხებული, ის მუხლჩაუხრელად მუშაობს მშვიდობის საკეთილდღეოდ უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა მშობლებისა და ომის დროს დაზარალებულ ქალთა ასოციაციის შექმნის გზით. მან თავისი ცხოვრება მიუძღვნა შრი-ლანკაში კონფლიქტის შეწყვეტას, რათა „სხვა დედებმა არ დაკარგონ შვილები“.

1976 წლიდან („ტამილ ილამის გამათავისუფლებელ ვეფხვთა“ შექმნის მომენტიდან) 2009 წლამდე (სამხედრო დამარცხებამდე) შრი-ლანკა მოცული იყო სამოქალაქო ომით.

უსაფრთხოება შრი-ლანკის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ პროვინციებში განსაკუთრებით ცვალებადი იყო, რამდენადაც „ვეფხვების“ მიერ ტამილ ილამის განთავისუფლება აფეთქებებით, სამხედროებსა და სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმებით ხორციელდებოდა. კონფლიქტმა საზოგადოება დაყო.

2002 წელს შრი-ლანკასა და „ტამილ ილამის გამათავისუფლებელ ვეფხვთა“ მთავრობამ ხელი მოაწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, თუმცა კონფლიქტი 2005 წელს - ეროვნული არჩევნების შემდეგ განახლდა.

შრი-ლანკას მთავრობასა და ტამილის ვეფხვებს შორის ბრძოლა ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის თანხლებით მიმდინარეობდა. შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა დაგმო შრი-ლანკის დაჯგუფება სამოქალაქო პირების წამების, გაუპატიურებისა და მკვლელობებისათვის.

მაშინ, როდესაც „ტამილ ილამის განმათავისუფლებელი ვეფხვები” ხშირად იყენებდნენ ტერორისტ თვითმკვლელებს, მკვლელობებსა და ადამიანთა გატაცებებს, როგორც ომის ტაქტიკას, უგზო-უკვლოდ დაკარგულ ჯარისკაცთა მშობლები შეგროვდნენ, რომ ანთებული სანთლებით ჩაეტარებინათ აქცია დაკარგულ ახლობელთათვის პატივის მისაგებად. მშობლები აგრძელებდნენ შეხვედრებს, რათა ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ თავიანთი ტკივილიანი ისტორიები და ემსჯელათ იმაზე, თუ როგორ მოეძებნათ დაკარგული შვილები.

არაფორმალური შეხვედრების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა მშობლების ასოციაცია შეიქმნა. ასოციაციის პირველი ოფიციალური სხდომა აღინიშნა ტაძარში ცერემონიაზე, რომელსაც დაახლოებით 800 ადამიანი ესწრებოდა.

„უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა მშობლების ასოციაციის“ წევრები მუშაობენ უგზო-უკვლოდ დაკარგულ ჯარისკაცთა მოძიებაზე, დაკავებულთა გათავისუფლებაზე; ემსახურებიან მშვიდობის დამყარებას შრი-ლანკაში. ასოციაციაში დარმადასას გაბედული ქმედებების შედეგად დარე-

გულირდა უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა, მათ შორის დაღუპულთა იდენტიფიცირების საქმე.

♦

ქალები ცდილობდნენ, მიეღწიათ შეხვედრებისათვის: ,,ტამილ ილამის განმათავისუფლებელი ვეფხვები" უნდა დარწმუნდნენ, რომ ჩვენ ორივე მხარის სასიკეთოდ ვმოქმედებთ." მათ საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენელთა მეშვეობით მიმართეს ამბოხებულთა ლიდერებს და საბოლოოდ - შეხვდნენ. შეხვედრა, საერთო შეფასებით, წარმატებული იყო: ,,ჩვენთან საუბრის შემდეგ ისინი ჩვენს გულწრფელობაში დარწმუნდნენ".

დარმადასა მიიჩნევს, რომ მშვიდობის შენების პროცესში კონტაქტი, კავშირი აუცილებელია და აღნიშნავს, რომ შეხვედრებმა გზა გაუკვალა ცეცხლის შეწყვეტასა და სამშვიდობო მოლაპარაკებებს. აგრძელებდა რა ურთიერთობას ტამილის მოსახლეობასთან, მას ესმოდა, რომ ყველა ქალი იტანჯება, როდესაც ომის დროს ქმარ-შვილს კარგავს. დარმადასას ხელმძღვანელობით ,,უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა მშობლების ასოციაციამ" შექმნა ასოციაცია - ქსელი კონფლიქტის ორივე მხარის ქალებისა, რომელთაც დაკარგეს შვილები და ქმრები.

2002 წლიდან დარმადასა და ომისაგან დაზარალებულ ქალთა ასოციაცია მონაწილეობდნენ მრავალ სამშვიდობო საქმეში. უპირველესად, ხელს უწყობდნენ დიალოგს მთავრობასა და მეამბოხე დაჯგუფებებს შორის. დარმადასას აზრით, მიღწეულია წარმატება ორივე მხარის დედების ერთიანობაში: ,,დედის ხმას დიდი გავლენა აქვს - ,,არა სისხლისღვრას!"

თუმც ,,ტამილ ილამის განმათავისუფლებელმა ვეფხვებმა" 2009 წლის დასაწყისში მარცხი განიცადეს, საომარი მოქმედებებისას დაზარალებულ ქალთა ასოციაცია და უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა მშობელთა ასოციაცია აგრძელებენ მუშაობას მშვიდობის საკეთილდღეოდ და ერთად მოაქვთ სარგებელი თავიანთი თემებისათვის - ატარებენ ტრენინგებს კონფლიქტის მოგვარების მიზნით, ეხმარებიან დაზარალებულებს.

შრი-ლანკას ქალები ჯერაც მცირედ არიან წარმოდგენილნი მთავრობაში (მათ დაკავებული აქვთ პარლამენტში ადგილების მხოლოდ 5,9 პროცენტი და რამდენიმე ხელმძღვანელი თანამდებობა მთავრობაში), ამიტომ ასოციაციამ ინიცირება გაუკეთა კამპანიას, რათა მიღწეულიყო უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის შესრულება (რომელიც მოუწოდებს ქალთა ჩართულობისკენ მშვიდობის მშენებლობასა და კონფლიქტების თავიდან აცილებაში).

როგორც დარმადასა ამბობს: ,,თქვენ არ შეგიძლიათ უბრალოდ თქვათ ,,ჩართეთ ქალები. თქვენ უნდა აჩვენოთ ქალთა შესაძლებლობები". დღემდე მომზადებულია 500 ქალი და დაიწყო სემინარები 750-ზე მეტი ქალისათვის მთელს შრი-ლანკაში.

♦

თუმცა დარმადასა კვლავაც გლოვობს დაკარგულ შვილს, მან თავისი მუშაობა მიმართა შრი-ლანკას მომავლისკენ, ქვეყანაში ომის შედეგად გაყოფილ მოსახლეობაში ნდობის განმტკიცებისაკენ. ის მიიჩნევს, რომ ქალები არ უნდა გამოეყონ სამშვიდობო პროცესს. მისმა მუშაობამ დაამტკიცა ქალების სასიცოცხლო მნიშვნელობა შრი-ლანკაში მდგრადი და სამართლიანი მშვიდობის დამყარების საქმეში. ის ათი წელია, მუშაობს მთავრობასთან და ტამილის მეამბოხეებთან და ამბობს, რომ მშვიდობის მშენებლობა მისი ჭეშმარიტი მოწოდებაა. ,,ეს ჩემთვის მხოლოდ სამუშაო არ არის. მე მიბიძგეს ამ სიტუაციისკენ და ვიცი: იმისთვის, რომ გადავარჩინო ჩემი ქვეყნის ბავშვები, მე ეს უნდა გავაკეთო".

ნაჰიდ ფარიდი - ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოებისათვის

ბევრი თანატოლის მსგავსად, ფარიდ ნაჰიდიც იძულებული იყო, მიეტოვებინა სკოლაში სწავლა თალიბანის დესპოტური რეჟიმის გამო. სახლში გატარებული 6 წლის მანძილზე აკვირდებოდა, როგორ ეუბნებოდნენ უარს ავღანელ ქალებს განათლების, ჯანდაცვისა და ღირსეულად ცხოვრების უფლებაზე.

განათლების მიღების სურვილი მას წამითაც არ განელებია და როდესაც თალიბანი დამარცხდა, დაბრუნდა სკოლაში, საბოლოოდ კი მიიღო პოლიტიკური მეცნიერებების მაგისტრის ხარისხი ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში.

იქიდან მოყოლებული, ფარიდ ნაჰიდი მუხლჩაუხრელად მუშაობს, რომ სხვა ავღანელ ქალებსაც ჰქონდეთ იგივე შესაძლებლობები. 2005 წელს მისმა ოჯახმა ჩამოაყალიბა ფონდი ფარიდი (FaridFoundation), რომელსაც თავად ხელმძღვანელობს. ამ ორგანიზაციამ 70 000 მეტი მოსწავლე უზრუნველყო ქალაქ გერატში სახელმძღვანელოებით და ტანსაცმლით. ის ამასთანავე მუშაობდა მსოფლიო სასურსათო პროგრამაში და ორგანიზაციაში Medica Mondiale, საიდანაც ნათელი წარმოდგენა მიიღო იმ სიძნელეების შესახებ, რომლებსაც ყოველდღიურად აწყდებოდა ავღანეთის მოსახლეობის ყველაზე დაუცველი და სუსტი ნაწილი: ქალები და ბავშვები.

2010 წელს 27 წლის ასაკში ფარიდ ნაჰიდმა მონაწილეობა მიიღო არჩევნებში და გაიმარჯვა - გახდა პარლამენტის ერთ-ერთი ყველაზე უმცროსი წევრი თავისი ქვეყნის ისტორიაში.

მთელი მოღვაწეობის განმავლობაში, ფარიდი თავგანწირვით იბრძვის, რათა ქალებს ხელი მიუწვდებოდეთ განათლებაზე და უკეთესი პირობები შეიქმნას მათი დასაქმებისთვის. მან შემოიარა მთელი მსოფლიო, გამოდიოდა ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის აუდიტორიების წინაშე, რათა მიეპყრო მეტი ყურადღება ავღანელი ქალებისა და ბავშვების ურთულესი ხვედრის მიმართ. ის გამოვიდა რამდენიმე ფორუმზე და კონფერენციაზე ვაშინგტონში, სადაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია ქალთა უფლებების დაცვის მხარდაჭერა. სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ შეხვედრაზე, რომელიც ამერიკის მსოფლიო ინსტიტუტმა მოაწყო, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ დაბრკოლებებზე, რომლებიც ხვდებათ ავღანელ ქალებს ქვეყნის აქტიურ პოლიტიკაში ჩართვის დროს.

მას არაერთხელ აღუნიშნავს, რაოდენ მნიშვნელოვანია მამაკაცების როლი. ქალთა უფლებებისათვის ბრძოლაში მისთვის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს წარმოადგენს მეუღლე, რომელიც მასთან ერთად სწავლობდა უნივერსიტეტში. ის ეხმარება ყველაფერში, შემოწირულობების შეგროვებიდან დაწყებული, საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელობით დამთავრებული. წინასაარჩევნო კამპანიაში, მეუღლესთან ერთად, ჩართული იყო მისი ოჯახიც. ერთ–ერთ სემინარზე ფარიდმა გაიხსენა, რომ ადგილობრივი თემის უხუცესი ცდილობდა ზეგავლენის მოხდენას ნათესავებზე და თხოვდა მათ, დაერწმუნებინათ რძალი, არ მიეღო მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში, არ შეერცხვინა ოჯახი. ამის მიუხედავად, მეუღლის ოჯახი გვერდში დაუდგა. ფარიდი ამბობს, რომ სწორედ ოჯახის მხარდაჭერა იყო გადამწყვეტი გამარჯვებისკენ მიმავალ გზაზე.

ფარიდის ამასწინანდელი ვიზიტი ვაშინგტონში დაემთხვა კრიტიკულ მომენტს, იმიტომ რომ მომავალ წელს ამერიკა მზადაა, ავღანეთიდან ჯარები გამოიყვანოს. მოსალოდნელი გარდამავალი პერიოდი წარმოშობს მთელ რიგ სირთულეებს დასახული მიზნების მიღწევისას - როგორიცაა ავღანელი ქალების უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოება და ქვეყანაში ცვლილებების უზრუნველყოფა. საერთაშორისო არენაზე ქალბატონი ფარიდის ხშირი გამოჩენა, მისი დიდი ავტორიტეტი ქვეყნის პოლიტიკურ ლანდშაფტში, მისაბაძი მაგალითია ძალიან ბევრი ავღანელი ქალისთვის, რომელთაც სურთ, გადამწყვეტი როლი შეასრულონ ქვეყნის დემოკრატიული ფორმირების პროცესში.

გამოცემაზე მუშაობდნენ:

პროექტის დირექტორი — **ალლა გამახარია**
პროექტის კოორდინატორი — **მერი გელაშვილი**
პროექტის ასისტენტი — **ემა კამკია**

ტექსტები ინტერნეტმასალების მიხედვით
თარგმნეს და დასაბეჭდად მოამზადეს:
ემა კამკიამ
ნატო ჩხორთოლიამ
გურანდა გვანცელაძემ
მარინა კვეკვესკირმა
ფატიმა დვალიშვილმა
ლალი შენგელიამ

კომპიუტერული დიზაინი — **ლია კოსტავა**